№ 157
ივლისის 26, პარასკევი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 157
ივლისის 26, პარასკევი, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩააბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრედვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, საცა პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და მდინარით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120 - 6.—6)

ქუთაისში ბ. ნ. წერეთლის წიგნის მაღაზიაში
(საკრებულო ტაძრის პირდაპირ)

დღეიდგან ისყიდება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის **აბრეშუმის ქსოვილები ფას-დაკლებით** 25%-ამდე (**ცხვირ-სახოცები, ყელსახვევები (შარფები) ქალთა და კაცთა სატანისამოსე დარაიები, ფერადი, თეთრი და სხვა**).

მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის ქსოვილები ბევრად უკეთესია ქარხნის ნაწარმოებზედ თავის გამძლეობით (სიმტკიცით), ვინაიდგან:

1, ამხანაგობის ქსოვილები არის დამზადებული ნამდვილ აბრეშუმის ძაფისაგან.

2, ძაფი არის ხელით ნაკეთები და სხვილი.

ზემო აღნიშნული ღირსებები ამხანაგობის ქსოვილებისა არიან მიზეზი მისი სიძვირისა; ახლა, როდესაც ამხანაგობა ერთად-ერთ ნაკლს თავის ქსოვილებისას,—სიძვირეს—სპობს **ფასის დაკლებით**, ვიმედოვნებთ, პატივცემული საზოგადოება დაეშურება ამხანაგობის ქსოვილების ყიდვას.

ამხანაგობის გამგეობის) თავმჯდომარე პ. მდივანი
) წევრი ვ. კიწმარიშვილი
ამხანაგობის გამგე **ნ. წერეთელი**

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

გორში
ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

ბ. ზ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ქართველ ქალთა
ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა. № 12

ტფილისი

◆ გაზ. „Аргонавтъ“-ი, რომელიც ტფილისში იბეჭდებოდა და ამ ჟამად დროებით შეჩერებულია, შეუძენია ცნობილს აბგარ იოანესიანს. რედაქტორად ამ გაზეთისა, როგორც ამბობენ, იქმნება შვილი აბგარისა, რუბენიო.

◆ როგორც შევიტყეთ, აგვისტოს მიწურულებში დანიშნულია ტფილისის კეთილმოწყსე სამღვდელოთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს ზოგიერთი, როგორც სამრევლო სკოლების, ისე ეკკლესიის შესახები საქმე.

◆ ამ ბოლოს დროს პოლიციის მოხელეები მუყაითად შესდგომიან ტფილისში ახლად დაარსებულ „ადრესის სტოლისთვის“ მასალის შეკრებას; განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევენ ტფილისში ახლად მოსულთა ბინადრობის შესახებ ცნობათა შეკრებას; ყოველდღე პოლიცმეისტერს ათი-თხუთმეტი ოქმი მისდის მოხელეთაგან სახლის პატრონებზედ შემდგარი, დროზედ ვერ წარმოუდგენიათ ცნობა იმათ სახლში ჩამომხდართა ვინაობისაო.

◆ ტფილისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ, განიხილა-რა ტფილისის გამგეობის მიერ ზუბალაშვილის სახელობაზე ღარიბთა თავშესაფარის სახლის შესახებ წარდგენილი აზრი, დაადგინა: რადგანაც ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილება არ ეთანხმება 95, 103, 105 მუხლს ქალაქის დებულებისას და შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ ცირკულიარს ამიტომ იგი შეწყნარებულ არ იქმნასო.

◆ ვერაფერი სანუგეშო ამბები მოსდის კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ქართლის სხვა-და-სხვა კუთხიდგან. ახალ-ქალაქისა და მეჯვრისხევის მემამულენი იწერებიან: თუმცა აქეთ ვაზს კარგი პირი ეტყობოდა და თვალ საჩინოდაც ესხა სალი ყურძენი, მაგრამ ამ ბოლოს დროს ნაცარმა საშინლად გააფუჭა მარცვალი და ლამის იმედი გაგვიცრუვდესო. მევენახენი დიდძალ გოგირდს თურმე იწერენ ვაზის საწამლავად.

◆ ტფილისის სასულიერო სემინარიისთვის ახალ სადგომის ამშენებელ კომისიას ამას წინად სხდომა ჰქონდა, რომელზედაც გადასწყვიტა თვით შეუდგეს სემინარიის სახლის აშენებას და იჯარით აღარ გასცეს. კომისიის ეს გადაწყვეტილება საქართველოს ეგზარხოსმა უკვე დაამტკიცა, ამიტომ ამ დღეებში კომისია შეუდგება მუშაობას და საჭირო მასალების მოპოვებას („ცნ. ფურც“).

◆ ამ დღეებში ნავთლუღის მცხოვრებს, ივანე დავითის ძეს სარაჯიშვილს ქალაქის გამგეობისათვის შემდეგი ქაღალდი მიურთმევია: 1 ამ თვეს ქალაქის გამგეობას მივართვი თხოვნა, რომლითაც ვთხოვდი ქალაქს მოეცა ჩემთვის ნება, ჩემის ხარჯით, ავლაბრიდგან ქალაქის საყასპომდე გამეყვანა ცხენით-მავალი რკინის გზა, მაგრამ აქამომდე ამ ჩემს თხოვნაზედ პასუხი არა მიმიღია-რა; ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ შემატყობინოთ, როდის მივიღებ პასუხსაო.

◆ სიფხიზლის საზოგადოების თავმჯდომარეს ბ-ნ ხუდადოვს მიუმართნია ქალაქის გამგეობისთვის, მისცეს გამგეობამ სიფხიზლის საზოგადოებას მოწმობა, რომ იგი უსასყიდლოდ ხმარობდა ავჭალის სახალხო თეატრის შენობასა; ქალაქის გამგეობას ბ-ნ ხუდადოვისთვის მიუწერია: რადგანაც ამ საგანზედ არაფერი ცნობანი არ არის ქალაქის საქმეებში, ამიტომ გამგეობა სთხოვს თავმჯდომარეს, შეატყობინოს: რა საბუთის ძალით ხმარობდა იგი აქამდის უფასოდ და რა პირობით ითხოვს საზოგადოება სახალხო თეატრს შემდეგშიო.

◆ ჩვენებურ სამრევლო სკოლებში აქამდე ორის წლის კურსი იყო დაწესებული. ახლა განუზრახავთ ოთხის წლის კურსი შემოიღონ ორის წლის მაგიერ. ამის მიხედვით შესდგა პროგრამებიცა და განაწილდა სამოსწავლო მასალაც. ასეთი პროექტი, შედგენილი სამრევლო სკოლების ზედამხედველის მიერ, უკვე განუხილავს სამოსწავლო კომიტეტს და მოუწონებია, მოუწონებია უწმ. სინოდსაც და საეგზარხოსოს სამოსწავლო საბჭოსათვის გამოუგზავნია და შემოუთვლია, წელს ენკენისთვიდანვე შემოიღეთ ოთხის წლის კურსი სამრევლო სკოლებში და სამოსწავლო მასალაც ამის შესაფერად გაანაწილეთო (გაზ. „კავკაზი“).

◆ როგორც ტფილისის იარმუკაზედ ართმევენ ფულს კვირაობით მოვაჭრეებს ქალაქის გამგეობის განკარგულებით, ესეთივე წესი შემოუღიათ სოფლებში დღეობების დროს. რომელიმე კაცი იღებს ეკკლესიის გარშემო ადგილს იჯარით, იხდის რამდენსამეს ეკკლესიის სასარგებლოდ და მერე თვითონ, რამდენიც თავის ნება და სურვილია, იმდენს ახდევინებს სავაჭროდ მოსულ ხალხს. ზოგან თურმე არ არჩევენ დიდსა და პატარა მოვაჭრეს, ფულს ერთ ნაირად ართმევენ, როგორც ერთს ისე მეორეს. სხვათა შორის ისეთი ამბავი მომხდარა გორისჯვარში გიორგობა დღეს. დიდრონ ვაჭრებისთვის და კალათით მოვაჭრე წიგნების პატრონისათვისაც ერთ ნაირად მოუთხოვნიათ ფასი, ქირა ადგილისა. ფეხზე მოსიარულე წიგნების ვაჭრებს (არჩუაძეს და მაისურაძეს) ორი მანეთისა სულ არ ჰქონიათ წიგნები გაყიდული და, აბა, საიდგან მისცემდნენ ორ მანეთს. მოიჯარადრეს ფულის მაგივრად წაურთმევია წიგნები და გამოუსტუმრებია ისე. როგორც შევიტყეთ, ამ უსამართლო შემთხვევის გამო აღუძრავთ საჩივარი გორის სასამართლოში წიგნების მოვაჭრეთ.

ძალიან კარგს იზამდა პოლიცია, რომ დღეობებში, სადაც უნდა იყოს, ჯეროვანი ყურადღება მიექცია ამ გარემოებისათვის და დაევალებინა ყველა მოიჯარადრესთვის გადაჭრილის ფასის დადება ვაჭრობის მიხედვით.

◆ როგორც ნამდვილად შევიტყეთ, კასპსა და ქსნის შუა (ქვემო-ხანდაკის მიდამოში) ბორანის გადაბრუნების მიზეზი აი რა ყოფილა: იმ 21 სულში, რომელნიც ნავზედ მსხდარან, ყოფილა ორი დანიშნული ახალგაზრდა ქალი 16 და 18 წლისა; ეს ამოდენა ხალხი თურმე „რაზიეზდის სადგურზედ“ მიდიოდნენ, სადაც ამ დანიშნულ ქალების საქმროები ემსახურებოდნენ; გასვლით მშვიდობიანად გასულან; როცა დაბრუნებულან გამოსასვლელად და მისულა ნავი შუა წყალში, ერთს დანიშნულს ქალთაგანს უშვერნია ფეხი და გადავარდნილა წყალში; ეს ამოდენა ხალხი სახტად დარჩენილა; იმ წამსვე შეუმჩნევიათ, რომ მეორეც აპირებს გადავარდნასაო. გაქანებულან და ნახევრად უკვე წყალში ჩაკიდულისათვის უტაცნიათ ხელი; ამ წივილ-კივილში 20 სული ხალხი სუ ერთ მხარეს მიცვინულან, ნავს ვერ შეუმაგრებია, გადაბრუნებულა და ხალხი ძლივს გადაურჩენიათ ვაი-ვაგლახით იქვე მყოფ ორს ძმას ჩიქოვანებს, ვისაც ეს ნავი ეკუთვნის; ამ ჩოჩქოლს შემდეგ მიიხედ-მოიხედეს და ნახეს, რომ ჩიქოვანის შვილი აკლია (მე-4 კლასშია მე-2 გიმნაზიაში). აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ყმაწვილი არსად არის; ბოლოს შეამჩნიეს, რომ ყმაწვილი წყლით სავსე ნავში ტივტივებს და ფართხალობს; საჩქაროდ აჰყარეს ფიცრები და რის ვაი-ვაგლახით მოაბრუნეს, მაგრამ ჯერაც კიდევ თავის ჯან-ღონეზედ არ არისო.

◆ ჩვენ მოგვივიდა ყოველთვიური სამეტეოროლოგო ბიულეტენი ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიისა—მიმოხილვა ამინდისა კავკასიაში ორის რუკით.

◆ 15 ამ თვიდგან 22-დე ქალაქში გადამდებ სენით ავად გამხდარა 6: მათ შორის 4 სახადით, 1 ხუნაგით და ერთიც ქუნთრუშით; ამათში 3 ქალაქ გარეშე მცხოვრებთაგანია.

ქალების განყოფილებაში 15—22-დე შესულა 1 ავადმყოფი, მორჩენილა 6, 22-ს დარჩენილა 29 ავადმყოფი, ეხლა ამ განყოფილებაში 26 თავისუფალი ადგილია. გადამდებ სენით თავშესაფარში 15-ს ყოფილა 2 ავადმყოფი; 22-ს შესულა 2 და მორჩენილა 2; თავისუფალი ადგილი 26-ია.

◆ როგორც პოლიციას მიუღია ცნობა, ეჩმიაძინის მაზრაში უნახავთ ხუთი შეიარაღებული ყაჩაღი, რომლებიც სპარსეთიდგან ტფილისში მოემგზავრებოდნენ საავაზაკოდ, ერთი მათგანი რუსულად მშვენივრად ლაპარაკობდაო.

◆ 22 ამ თვეს გოლოვინის პროსპექტზედ, გერასიმე კულაევი სიმთვრალის დროს გადმოვარდა ცხენიდგან და ისე დაჰკრა თავი, რომ რამდენიმე საათი-ღა იცოცხლა.

◆ 24 ივლისს მტკვარში, დიდუბის ახლო, იპოვნეს დამხრჩვალი ქალის გვამი 25 წლისა, რომელსაც ლილის ფერი კაბა ეცვა, კისეიის ზედატანი და შავი ჩულქები.

◆ 24 ამ თვეს მე-5 ნაწილში პოლიციელი სენიუშკინი უცბად გარდაიცვალა გულის სიდამბლით.

◆ 22 ამ თვეს დიტრიხის მამულში, მტკვრის პირად, იპოვნეს იმ ყმაწვილი ქალის გვამი, რომელიც ამ დღეებში ქვემო-ხანდაკის გასწვრივ, ბორნის გადაბრუნებამ იმსხვერპლა.

ჩვენებური ამბები

ქსოვრისი (დუშეთის მაზრა). 21 ივლისს აქ გლეხ-კაცის ქორწილი იყო. ხალხი ბლომად შეიკრიბა ეკკლესიის ახლო. როცა ნეფე-დედოფალი მაყრიონით ეკკლესიას მიუახლოვდა, დაიწყეს თოფის სროლა, როგორც, სამწუხაროდ, ეს სჩვევიათ ქორწილებში. უბედურის შემთხვევის გამო ერთის მაყრის თოფი, გატენილი საფანტით, გავარდა და მოხვდა გლეხ-კაცის ერთს გასათხოვარს ობოლს

ქალს ბარძაყში. მისცვივდნენ დაჭრილს ქალს და, ვისაც რით შეეძლო, შველა და დახმარება იმითი აღმოუჩინეს. თან ქსოვრისში მყოფმა ინტელიგენციამ გაუგზავნა კაცი ქსენონის მკურნალს სოფელ ახალგორში, რომელიც იქვე მახლობლად არის და სთხოვა მოსულიყო და თან შესაფერი სამკურნალო მასალაც წამოეღო. კაცი ცარიელი დაბრუნდა და გამოუცხადა თავისს გამგზავნელებს, მკურნალმა ასე მითხრა, სანამ ხუთს მანათს არ მომიტან, მანამ ვერ წამოვალო. ამ ფაქტს განმარტება აღარ ეჭირვება.

—

ცხინვალი. დღეს-დღეობით აქეთ სალაპარაკო ცეცხლისაგან განადგურებული ებრაელობა და მცირედი რიცხვი ქართველობისაა. ამ საერთო მწუხარების გამო ბევრი წილი სწუხს და ცოტა იცინის. განსვენებული მანასე ბრალიანზედაც იცინოდა და უბრალოლოზედაც, იმიტომ რომ სულელი იყო და განა ქვეყანაზედ ასეთი სულელები გამოილევიან? აი, ასეთის სულელურის სიცილისათვის მოუკრავთ ასეთსავე სულელებს ყური და დაუძახნიათ: თუ სიცილი კარგია, აბა, გვიყურეთ, როგორ თავვებივით გამოგწვავთ სახლებშიო. ამაზედ სომეხ-ქართველობა შეფიქრიანებულა და ერთი განგაში გააქვთ.

დიდად სამწუხაროა ყოველივე ეს. ამ გაჭირვებულთა საერთო დახმარების დროს რა ხელზე დასახვევი საბუთია ასეთი ამბავი. განა, თავიანთ ზარალითა და უბედურობით კმაყოფილნი არიან, რომ სხვებიც ამ განსაცდელში უნდათ ჩაჰყარონ!. დროა ეროვნულ შურსა და მტრობას ბოლო მოეღოს! დროა დავანახვოთ ჩვენთან შეზრდილ ძმებსა და მეზობელ ებრაელებს, რომ მათი ბედნიერება ჩვენი ბედნიერებაცაა და უბედურობაც აგრეთვე. შევეწივნეთ, ვისაც-კი რითი შეგვეძლოს. ამ საცოდავებს აღარც-კი ესმით, რასა სჩადიან და არც გასაკვირველია, ასე უცებ, ასე მოულოდნელად ასეთი უბედურება დაატყდა თავს მთელ სამას მოსახლეს—ათას-ხუთას სულს. მრავლობით ყაჩაღი გაუძღვია, აუარებელი ქურდი და ავაზაკი გამოკვებილა იმათ სახლიდგან და ცოლ-შვილისათვისაც საკმაო საკვები დარჩენია და დღეს-კი ულმობელმა და შეუბრალებელმა ცეცხლის სტიქიონმა სამსა და ოთხს საათში იავარ-ჰყო მთელი სარჩო-საბადებელი, სულს აქეთი რაც გააჩნდათ.

ჩვენთვის რომ ვსთქვათ, ან-კი რითი უნდა ინუგეშონ თავები? ხვნა იმათ არ შეუძლიათ და თესვა-მოჯამაგირეობა და სხვა ამათი ალებ-მიცემობა ადლი, არშინი და ფულის გასესხება იყო და დღეს, როგორც გვესმის, ყოველ ქონებასთან თამასუქებიც ცეცხლს შთაუნთქავს. უამისოთაო, ამბობენ, ვინ რაღას მოგვაშავებსო. ამ საბუთებს გარდა არის კიდევ უფრო შეურყეველი თამასუქი, რომელსაც სინიდისს ეძახიან და ჩვენ ქართველობაში-კი ჯერ ის არ მოსპობილა. მაშ, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, ჩვენი გლეხი ჩაიხედავს თავის გულში და თავის ახს გადაუხდის კანონიერ სარგებლით. იმედი უნდა ვიქონიოთ არც ესენი მოსთხოვენ ათ შაურობით სარგებელ „ნეუსტოიკებით", ხოლო ყოველ შემთხვევისათვის ვალის გადამხდელს უნდა კანონიერი ბათილამა ეძლეოდეს.

ყოველ მხრიდან ეხმარებიან ცხინვალელებს პურით, ფულით და სხვა, მაგრამ უფრო საბუთიანი იქნება, ჩვენი ქველ-მომქმედნი ან ნაღდ ფულად ან-და ფართლეულ საწვრილმანოთი და სხვა ამისთანებით დაეხმარებოდნენ. ესენი ალებ-მიცემის ხალხია და ამაებს უფრო გამოიყენებენ, მით უმეტეს, რომ კალოობაა გაჩაღებული. ცხინვალელ ქართველ სომხობას-კი ვურჩევთ ყოველისფერში დაეხმარნენ დაზარალებულთ და ეხლავე შეიძინონ ცეცხლის საქრობი მანქანა სხვების დაუხმარებლად.

დროებითი მეთვალყურე.

—

ქუთაისი. 22 ივლისს სამოქალაქო კლუბში იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველებმა საპედაგოგო კურსებზე ჩამოსულ სოფლის მასწავლებლებს სამუსიკო სალიტერატურო საღამო გაუმართეს. მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის ყველა სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებლებმა, აგრეთვე დაბა ყვირილის საეკლესიო სკოლის მოსწავლეებმა და მგალობელთა გუნდმა, რიცხვით 40—50 კაცმა და სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელ ქალთ და კაცთ. ლოტბარობდა გალობის მასწავლებელი კ. ფოცხვერაშვილი. პროგრამა მეტად რთული და ვრცელი იყო. ეტყობოდა, ამ საღამოს გამმართველთ არც შრომა და არც მეცადინეობა არ დაუზოგავთ, რომ დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დარჩენილიყო. ლექსების კითხვაში თითქმის ყველა სამრევლო სკოლის პატარა ბავშვებმა თავი ისახელეს. ლექსებს ქართულად და რუსულადაც კითხულობდნენ გაბედულად და მკაფიოდ.

მასწავლებელმა მეტრეველმა წაიკითხა ჭავჭავაძის „ლოცვა", ბ-ნმა ჯიქიამ „პოლტავის ომი" პუშკინისა და „ბედი ქართლისა". ქალმა ჩიხლაძემ წაიკითხა „იუდა" ნადსონისა, „მუშა ბოქულაძე", გრ. ორბელიანის ლექსი, წაიკითხა მასწავლებელმა ჩხიკვიშვილმა.

სიმღერათაგან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და საზოგადოებას მეტად მოეწონა „ვახტანგ მეფე" ქართული მარში, ნოტებზე გადაღებული კ. ფოცხვერაშვილის მიერ და მისივე „ფაცხა" და „ნანინა"—ბალანჩივაძისა და კ. ფოცხვერაშვილის მიერ ნოტებზე გადაღებული „გოგონა". ეს სიმღერები რამდენჯერმე გაამეორებინეს. რუსული სიმღერებიც კარგად შეასრულეს.

ბევრი აცინა საზოგადოება მასწავლებელ გაბრიჩიძის მიერ წაკითხულმა იმერულმა სცენებმა „მე ცოლის შერთვა მინდა", „ცოლი შევირთე" და „ცოლი მომიკვდა".

საღამოს დაესწრო: ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სმაგინი მეუღლითურთ, ქუთაისის სასწავლებლების მასწავლებლები, სამღვდელოება და მრავალი გარეშე საპატიო პირნი, რომელნიც ამ საღამოზე მზრუნველების მიერ მიწვეულნი იყვნენ („ცნ. „ფურც".).

—

დილომი. დილომი დიდი სოფელია. აქ ითვლება ექვსას კომლამდე და ორი ათას სულამდე. მაგრამ ეს დიდი, მდიდარი და ქალაქს ახლო სოფელი ყოველის მხრივ ჩამორჩენილა: არა აქვს რიგიანი სასწავლებელი, არცა ჰყავს ექიმი, ან ფერშალი, არც ხეირიანი მამასახლისი, ან მწერალი. სოფელში ორი მღვდელია და სოფლელთა შორისაც მოიპოვებიან შეგნებულნი კაცნი, მაგრამ არავინ არ ზრუნავს სკოლისათვის. მღვდელი იმასაც ვერ ახერხებს, რომ ხეირიანად მოაწყოს სამრევლო სასწავლებელი. მთელის სოფლიდგან სამრევლო სკოლაში ათი ყმაწვილიც არ დაიარება.

დილომს ერთობ დიდი უთაობა ეტყობა. სოფელი დიდს გაჭირვებაშია უწყლოობის გამო და არავინ არ თავობს, ახლო ხევიდგან წყალი გამოიყვანოს. სოფელმა აქამდის ვერ გაიჩინა თავისი აბანო და საბანაოდ სოფლელები ქალაქს ჩამოდიან. გზები და ქუჩები ისეთ მდგომარეობაშია, რომ კაცს ფეხითაც უჭირდება სიარული, არამც-თუ ეტლით, ან ურმით.

ყველა ამ ნაკლულევანების მოშორება დილომელებისათვის ძალიან ადვილია, ოღონდ იკისროს ვინმემ და მიჰყოს ხელი სოფლის მოწყობას. საუბედუროდ განათლებულთაგანი არავინ სცხოვრებს და გლეხები თვითონ ვერას ახერხებენ. მამასახლისი და მწერალი, როგორც ყველგან ჩვენში, სოფლის გაუმჯობესებას სრულებით არ დაზდევენ და თავიანთი გონება იმისათვის მიუმართიათ, რომ თავიანთი ჯამაგირი დროზედ მოჰკრიფონ და თავიანთი საქმე გაირიგონ.

—

ს. მეწიეთი (გურია). მეწიეთელები უფრო ეტანებიან ვენახის მოშენებას. შარშან მეწიეთში ძალიან ნაკლები იყო ღვინის მოსავალი, მაგრამ მაინც სამყოფი ყველას მოუვიდა. დანარჩენ სოფლებში რთველი ნაკლებად იყო, ამიტომ ღვინის ფასმა ძლიერ აიწია. მეწიეთში ერთი ფუთი კარგი ღვინო ფასობდა ორ მანეთ, ორ მანეთ ნახევრად. ღვინო გაჰქონდათ იმერელ და მეგრელ ჩალვადრებს. წრეულს „ადესას" ნამეტანი ბევრი ასხია მეწიეთში და საზოგადოდ გურიაში. საყანე ადგილები აქ უვარგისია.

მეწიეთში მოჰყავთ აბრეშუმი, თუმცა ცოტა, მაგრამ თან-და-თან მატულობს. წელს კარგი მოსავალი იყო აბრეშუმისა და ფასიც კარგი ჰქონდა, 15 მ. და 50 კაპეიკამდე ავიდა ფუთი. სწავლა-განათლებისთვის სულ არ ზრუნავენ. თუმცა ერთი სამრევლო სკოლა არის მეწიეთში, მაგრამ იმის კარგ ნიადაგზე დაყენება მოესწრება ნეტა მეწიეთს!?.

მეწიეთელებს გვაქვს ერთი ეკლესია, რომელიც ნამეტან ცუდს მდგომარეობაშია: შემოსავალი თუმცა კარგი აქვს, მაგრამ ერთი კაპეიკი არა აქვს დაზოგვილი, რომ გაჭირვების დღეს გამოადგეს. არა უკეთეს მდგომარეობაშია თვით ეკლესიის ეზო, რომელიც სივრცით არ იქნება ნახევარი ქცევა. რაც ეს ეკლესია არსებობს, მას აქეთ, ყველა მიცვალებულს აქ ასაფლავებენ.

ელე.

—

წერილი ახალქალაქიდგან

(ლეჩხუმის მაზრა)

> „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის,
> და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი".
> წინასწარმეტყველი დავით.

ახალქალა ძველადგანვე თ. გელოვანების საგვარეულო შესაკრებელი ცენტრია. ამ ადგილზედ ესახლა და სცხოვრებდა ამ გვარის წინაპარი კაცია და გრიგოლ დადიანების მთავრობის დროს სამეგრელოს მხედრობის ძლევა-მოსილი წინამძღოლი, სარდალ-მოურავი თ. ქაიხოსრო გელოვანი. ყოველთვის, როდესაც საერთო საგვარეულო საქმე რამ იჩენს თავს, ჩამომავლობა სარდლის ქაიხოსროსი, ამ ადგილზედ იყრის თავს, აქ სჯიან, კამათობენ და სწყვეტენ ყოველგვარ საერთო საქმეებს. ეხლაც, ერთ თვეზედ მეტია, რაც გელოვანები ახალქალას არიან თავმოყრილნი და აქვსთ ურთი-ერთ შორის დიდი ალიაქოთი, გაცხარებული კამათობა. ამ ჟამად გელოვანების საერთო გაუყოფელ მამულს ლეხერაში შემოვიდა და მუშაობს უმაღლესის მთავრობის მიერ დანიშნული მიწის მზომელი. ლეხერა ერთი საუკეთესო ტყიანი მამულია არა თუ გელოვანების კუთვნილ მამულებში, არამედ მთელს მაზრაშიაც. ამ ძვირფასის მამულის გაყოფა-დანაწილებამ რომ კამათობა გამოიწვიოს მემკვიდრეობით მონაწილეთა შორის, ეს გასაკვირველი და დასაძრახი არ არის. დასაწუნარი ამ შემთხვევაში მხოლოდ ის არის, რომ გელოვანები საერთოდ უყურადღებოდ სტოვებენ თავიანთ სახელოვანის წინაპარის ანდერძს და უსპობენ არსებობის სახსარს იმ რელიგიურ ძეგლს, რომელიც აღუშენებია მას... ახალქალას, სასახლის ზღუდეში, აღშენებულია ეკლესია ღვთისმშობლის სახელზედ ქაიხოსრო გელოვანის მიერ საუკეთესო სპონტიკის ქვით. კანკელი ეკლესიისა ჩინებულია; იგი ეკუთვნის ერთს საუკეთესო ძველ საეკლესიო სამხატვრო ხელოვნებას. მართლ-მორწმუნე აღმაშენებელს რომ მის მიერ აღშენებული ტაძარი ზეცისის დედოფლისა შეურყეველად დარჩენილიყო, დაუნიშნავს ერთი საკმაოდ ვრცელი ნაწილი ლეხერის მამულისა, ტყიროდ წოდებული. მის შემოსავლიდგან უნდა დაკმაყოფილებულიყო ყოველივე მოთხოვნილება ეკლესიისა: შეკეთება შენობისა, როცა საჭიროება მოითხოვდა, ღვთის მსახურების ჟამს საჭირო მასალები და სატაძრო სამკაულები. გარდა ამისა, დანიშნულის ადგილის შემოსავლით უნდა უზრუნველ-ყოფილიყო კარის მწირველი მღვდელი და მისი დიაკონი. ტყიროს ადგილების შემოსავალი სავსებით აკმაყოფილებდა აღნიშნულს მოთხოვნილებას და ეკლესია უზრუნველ-ყოფილი იყო, როგორც აღმშენებელის სიცოცხლის ხანში, აგრეთვე მის შვილების და შვილის-შვილების სიცოცხლის ხანშიაც. ეხლა-კი ამ ეკლესიის საქმე ძალიან ცუდად მიდის და, მოსალოდნელია, დღეს თუ არა, ხვალ მაინც, უთუოდ უნდა აღიგავოს დედამიწის ზურგიდამ ეს ერთად-ერთი ისტორიული ძეგლი გელოვანების ძველის ოჯახის დიდებისა. განსაცდელი ეკლესიისა იმაში მდგომარეობს, რომ აღმაშენებელის მესამე დგმამ ეკლესიას ჩამოართვა აღმშენებელისაგან დანიშნული ადგილის შემოსავალი. თვით მამული ტყირო-კი დაინაწილეს ურთიერთ შორის. უმეტესობამ თავისი წილხდომილი უკვე მიჰყიდა გლეხებს და ეხლა ამ ადგილებს იყორღნიან მყიდველი გლეხები. ხოლო ეკლესია-კი რჩება ნივთიერის მხრივ უნუგეშო მდგომარეობაში. კაი ხანია, რაც ეკლესიას მწირველი აღარ ჰყავს და საეკლესიო საჭირო ნივთების პოსაპოებელი ღონისძიებაც აღარ აქვს აღნიშნულს ტაძარს, მისი გადახურვისა და შეკეთებისათვის არავინ ზრუნავს, გროშს არავინ იმეტებს. მართალია, ძველის საისტორიო ძეგლების მოუვლელობისა და დაუცველობის მაგალითი მარტო ჩვენ, გელოვანები, არა ვართ, დაუდევრობას და გულგრილობას ძეგლების მიმართ ვხედავთ მთელს საქართველოში, მაგრამ გელოვანებს მაინც არ მოგვეტევება, რომ ასრე უპატიოდ ვექცევით იმ საგვარეულო ძეგლს, რომელშიაც დაკრძალულ არიან ჩვენი სახელოვანი წინაპრები: სარდალ-მოურავი ქაიხოსრო მისის მეუღლით და შვილებით. დღესაც გელოვანების საგვარეულო სამარხი ამ ეკლესიის წიაღშია. ნუ თუ მამა-პაპათა საფლავების დაცვისა და პატივისცემის უნარიც აღარა გვაქვს!..

ქაიხოსრო გელოვანი.

—

ასკანა (გურია). დარბაისელმა „ცნობის ფურცელმა" 1759 №-ში ერთხელ კიდევ საქვეყნოდ გამოაცხადა ცნობილის სოლომონ ჭეიშვილის მოღვაწეობა!.. მაგრამ ეს მოღვაწეობა, მკითხველო, გურიის „შუამავლის" ამხანაგობას-კი არ შეეხება. ახლა სოლომონს თვისი სამოღვაწო ასპარეზი სადღაც შორს ოზურგეთიდგან ს. ასკანაში გადაუტანია! თურმე სოლომონს ამ ოთხი წლის განმავლობაში, რაკი „შუამავლის" საქმე ისე „ჩინებულად» წაუყვანია, როგორც მკითხველმა იცის, ახლა ამხანაგობისათვის თავი დაუნებებია და სურს ბნელით მოცულს ასკანას მაცისკროვნებელი სხივები მოჰფინოს, ჰსურს ასკანის საზოგადოებას იმ ციურ წამათ მოევლინოს, როგორც 1893 წლის განგებამ ასკანის საზოგადოებას მოუვლინა!.. „ცნობის ფურცლის" რედაქციას უნდა ვაუწყოთ, რომ ის დრო წავიდა, როცა ასკანის ახალგაზრდობა შესცდა და გურიანთის უბნის საბოქაულოს უღირსი მწერალი სოლომონი ასკანის საზოგადოებას შეატყუა.

აი, საქმე როგორ იყო. 1893 წ. ტფილისის სემინარიაში ექვსი მოსწავლე ვიმყოფებოდით ასკანიდგან. ამავე წელს სემინარიაში არეულობის გამო სწავლა არ ყოფილა და მთელი წელიწადი თავისუფალი გვქონდა. ჩვენც ვისარგებლეთ ასეთი შემთხვევით, შევადგინეთ პროექტები: ორ-კლასიანი სკოლის, ბიბლიოთეკის და ბანკის დასაარსებ-

ფელეტონი

ხალხური ლექსები

(ხალხში გაგონილი და შეკრებილი)

მცხეთას დგას ოქროს (აკვანი) კუბოი,
შიგ ნათობს კელაპტარია,
შიგა წევს მეფე ერეკლე—
ბაგრატიონთა გვარია.
გმირს დაუხუჭავს თვალები,
მაგრამ არ არის მკვდარია.
შვილებს გადუგდო ბეგთარი,
ფხა სისხლიანი ხმალია:
სანამდის ვიყავ, კარგ ვიყავ,
მივძარ-მოვძარი ზღვანია,
ეხლა თქვენთ ჩამიბარებავ
ქართველთ მთა და ტაძარია.

—

შენი თათბირის ენით
შევიქენ დაკარგულები,
ავდექ და წაველ არაბეთს
ხმალ-და-ხმალ ჩაკიდულები;
ტყვეები ბევრი მოვართვი,
ხელ-და-ხელ გადაბმულები;
თავი ცოცხალი რათ მინდა,
თუ ჩემათ არ მეგულები!

—

ტარიელ დავსვი ვეზირათ
საქმე შენ გაგაბჭობინე,
თუ დარეჯანი გიყვარდა,
რატომ არ შემატყობინე?!

—

ძმის გულ გაწდომას, მოთხრობას
ტყეთ ხეტიალი არჩიე;
ვაჟკაცსა კარგსა არ დასწონს,
ეგეთ გულის თქმას ასდიენ.

წინაპართ ნაშთთა მნიშვნელობა.

არმაზს დაასაფლავესო პირველი ქართველი, ქართლოსი. მისი საფლავი შეიქმნა პირველ ხატად და საფიცრად.

ხატი გვპატრონობდა.

ხატი გვიცავდა, გვფარავდა.

ხატი გვაგროვებდა და გმირულ სულს გვიდგამდა.

ხატი გვანიჭებდა თავისუფლებას.

ხატი გვავიწყებდა გადახდილ ჭირ-ვარამს, გვამხიარულებდა, გვატკბობდა.

ხატი თავის შვილებად გვსახავდა ყველას, განურჩევლად წოდებისა, სისხლისა და გვარისა.

ჩვენი ხატის ძლიერება და უძლურება მტკიცედ გვწამდა, მით გამხნევებულნი ლომებრ ვიბრძოდით თავისუფლებისთვის; აუარებელ მტრებს, ველურებსა თუ განათლებით განთქმულებს, მამაცად ვუხვდებოდით, ჩვენის ხატისთვის თავს ვსდებდით, მის გამარჯვებისთვის განწირულად ვმხნეობდით.

არც ხატი იყო უქმად.

საცა დაფუძნდებოდა ხატი, იქ და მის გარშემო, თუ გაველურებულ-დაბურული ტყე და ბარდანი იყო, ვენახი, წალკოტი და ყანობირი შენდებოდა, თუ ხაშმიანი ჭაობი და უწყლო ველობი იყო, კეთილ-ამო სათესები და საცხოვრებელი იმართებოდა. ხატის ძალით გამოითხრებოდა არხები, აღმოტყდებოდა კამკამა წყლები, უხვად ირწყვებოდა მინდვრები და მორწმუნე ერი ღიღინით იწყებდა მუშაობას, არ აკლებდა სწრაფვას, გარჯილობას.

თვით ხატის უწმიდეს კარსაც გაჩაღებული იყო დაუღალავი შრომა, შრომა სულიერი. აქ, ვითარცა ფუტკარნი თაფლს, სასულიერონი უმზადებდნენ ერს გონებრივ საზრდოს.

ზოგი სთხზავდნენ ანუ სთარგმნიდნენ წიგნებს.

ზოგნი ამზადებდნენ მელანსა, უხუნო და ფერად წამლებს.

ზოგნი ამზადებდნენ ნაირ-ნაირ ეტრატს, რომელიც გამოიქნებოდა ხოლმე კრავისა, ცხვრის ანუ ხბოს ტყავისაგან.

ზოგნი (მკაზმავნი) გამოქნილს ეტრატს რვეულებად და წიგნებად ჰკაზმავდნენ.

ზოგნი ისხდნენ სამწერლო სენაკებში და დედნებიდგან გადმოჰქონდათ პირი ახალს წიგნებში. ეს მწერლები დიდს შრომაში იყვნენ. იგინი სცდილობდნენ უნაკლულოდ შეესრულებინათ მათდა მინდობილი ღვთიური საქმე: არსად გამოეკლოთ ასო, არსად გაეთხუპნათ ეტრატი, არსად შეშლოდათ ასო, არსად გაევლოთ მეტი ხაზი, იგინი ძრწოდნენ, არსად არ შეგვეშალოს, რომ ხატმა არ გვიწყინოსო. ხშირად ითმენდნენ წყურვილსაც, ხშირად არ ჰქონდათ, როგორც იტყვის მეცხრე საუკუნის სვანურ ხელნაწერის გადამწერი, „პურაი საჭმელი და ღვინოი სასმელი".

ზოგნი (მხატვარნი) შემოსხდომოდნენ მაგიდას, რომელზედაც იყო რვეულები, ფერადი წამლები, სახაზავები, კალმები, ფარგლები და მოწიწებით ხატავდნენ, ხაზავდნენ, ასომთავრულებს აჭრელებდნენ.

დამზადებული წიგნები ეფინებოდა ერს, იგზავნებოდა სხვა სახატოებში, ეკლესიებსა და საყდრებში.

ხატი ამითაც არ კმაყოფილდებოდა. მის დავალებით მღვდელი მრავალგვარ საქმეს აკეთებდა:

მღვდელი ხუცობდა,
მღვდელი მკერვლობდა,
მღვდელი ხუროობდა,
მღვდელი ხარაზობდა,
მღვდელი ხნავდა, სთესავდა.
მღვდელი ასწავლიდა ერს წიგნს,
ლოცვას.

ხატი თხოულობდა, რომ მისი სადგური დიდებულათ აეგოთ, შეემკოთ, დაეხატნათ, სადგურის გარშემო მკვიდრი ზღუდე გაევლოთ, შემოემაგრებინათ, რათა მტრის თავდასხმის დროს მისი ეზო და ციხე უძლეველ ბანაკად ყოფილიყო.

ხატის ნებას ფიცხლავ ასრულებდნენ. მის სადგურად ირჩევდნენ მიუვალ ადგილებს, მთის მწვერვალებს, მაღალ კონცხებს, ფრიალო და ულაღ ბორცვებს, მწვერვალზე აშენებდნენ საყდრებს, საყდრების კარმიდამოს ზღუდავდნენ ციხით, ეზოდგან ძირამდის გაჰყავდათ კიბე-კიბე სასვლელები, თუ მწვერვალზე წყარო არ იყო, შორიდგან მილით გამოჰყავდათ წყალი. საყდრების სიმტკიცისათვის, ხშირად, მათ აშენებდნენ რძე-კირით და აგურით და ხურავდნენ კოწიწით.

ასეთი იყო ჩვენი მამების საქმე უწინ. მათ მიერ, გაკეთებული საქმე, არხია იგი, თუ ხიდი, ციხე ანუ ტაძარი, თავის სიმკვიდრით და დიდებულობით გვაოცებს ჩვენ დღესაც, როდესაც ხუროთ-მოძღვრულ ხელოვნებას უმაღლეს წერტილამდე განვითარებულად სთვლიან, აგრეთვე გვაოცებს ჩვენ მათ მიერ უხუნო ფერადებით ცხოვლად დახატული 1000—1200 წლის წიგნები.

ყოველივე ეს გვაოცებს და მხოლოდ გვაოცებს, თორემ თვით ეს საოცარი ნაშთები ობლად, უპატრონოდ, მოუვლელად, უპატიოდ დაშთენილან და ნაღვლიანად გადმოიცქირებიან მწვერვალებიდგან.

მათში აღარ ისმის ღვთიური ხმები და გალობანი.

მათში ველარ ვხედავთ გამრჯე ძმათა და მამათ რუდუნებას, სწრაფვას.

მათში აღარ ჰქუხს თავისუფალ ერთა ღრეობა.

სიბინძურე დასდებია სქლად წმიდათა უწმიდესს.

გველი და ღრიანკალი დაბუდებულა ერის სალოცავში.

ნარი და ეკალი აღმოცენებულა მამა-პაპათა განსასვენებელში.

ბუკიოტი ჰყივის იქ, საცა წმინდა მამები ღმერთს უგალობდნენ, დავრდომილსა და მშრომელს ზენას ავედრებდნენ.

არ არის მეორე დავით-აღმაშენებელი, რომ აღადგინოს იგინი, ვერ ვხედავთ ჩვენ შორის ბევრ ალექსანდრეებს, რომ გულუხვად იზრუნონ მათთვის, განამშვენონ, შეამკონ და შემუსვრისაგან დაიცვან. არა თუ ესრე, ზოგიერთი, მაგალ. გელოვნები (იხ. ქვემო ქაიხოსრო გელოვანის წერილი), თვით თავიანთ საკუთარ საგვარეულო ძეგლსაც უგულოდ ექცევიან, მის მოსამზადებელს უკანასკნელს ნატამალსაც იყოფენ...

ყველა ერი თავის ნაშთებით ამაყობს, ყველას თავი მოაქვს თავის უძველეს ძეგლებით, მათ იცავენ, თვალის ჩინივით უფრთხილდებიან; ზოგნი, თუ ძეგლებით ხელ-ნაკლებ არიან, მათ გასამრავლებლად მეზობელ ერის ნაშთებსაც-კი იპარავენ, იჩემებენ... მხოლოდ მარტო ჩვენა ვართ, რომ ფასი არ ვიცით მამა-პაპათა ნაშთებისა, ხატებისა, სალოცავებისა, სიწმიდეთა. იქამდისაც-კი მიდის ჩვენი დასაგმობი გულ-ზვიადობა და გამბედაობა, რომ, ხშირად, კიდეც ვძარცვავთ მათ, კიდეც ვიპარავთ მათდა დაზოგვილს შემოწირულებას, კიდეც ვყიდით მამულებთან ერთად...

მომავალი თაობა დაგვგმობს, რომ პატივისცემა არ ვიცით იმისა, რაც უნდა შეადგენდეს უსაღვთოესს საზრუნავს ყოველის შთამომავლობისას.

ბერი.

ვად. მაგრამ იმ დროს ასკანის მამასახლისმა თანაგრძნობა ვერ გაგვიწია. წიგნთსაცავისთვის ყველაფერი მზად გვქონდა, მხოლოდ შენობის საქმეში ვთხოვეთ შეწყობის აღმოჩენა, მაგრამ ვერაფერი შევასმინეთ. მივიხედ-მოვიხედეთ, დავიბარეთ მწერლობიდგან დათხოვილი სოლომონი, პატიოსანი სიტყვა ჩამოვართვით, რომ თუ ის ჩვენს განზრახვას მხარს დაუჭერს და კეთილ სინიდისიერად მოიქცევა, ჩვენ მისს მამასახლისობის კანდიდატურას წარმოვადგენთ და გავიყვანთ კიდეც. მართლაც ასე მოხდა. დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, რომელიც კარგად მოეხსენება მაშინდელს მაზრის უფროსის თანაშემწეს ბ-ნ ირაკლი კალანდარიშვილს, ძლივ-ძლივობით მოვახერხეთ სოლომონის მამასახლისად დაყენება. ამოვუდექით ყველანი მხარში, ორ-კლასიანი სკოლაც მოვაგვარეთ, წიგნთ-საცავიც და ბანკიც დავაარსეთ, გზებიც შევაკეთეთ, მერმე? მერმე და... პირი დავბანეთ, საზოგადოებაში კაცად გამოვიყვანეთ. ეს ყველაფერი მეზობლებმა რომ დაინახეს, ასტეხეს ერთი ვაირილი გაზეთებში: „სოლომონმა რა ჰქნა და რა ჰქნაო"... ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ გურიის ამხანაგობის „შუამავლის" გამგედ გამოსჭიმეს, ხოლო ბოდრის ამხანაგობის წევრობიდგანაც გამორიცხეს. ახლა, ბატონო, ისევ ასკანაში უნდა მოიკალათოს, მამასახლისობა, სკოლა, ბიბლიოთეკა და ბანკი ხელთ ჩაიგდოს. და რომ მიზანს მიაღწიოს, ვინ იცის, რა ხრიკებს არ ხმარობს! მისდა საბედნიეროდ პატივცემული „ცნობის ფურცლის" რედაქციაც სოლომონის წერილებს სიხარულით უთმობს ადგილს.

აი, რა მარგალიტებს ვკითხულობთ „ცნობის ფურცლის № 1859-ში", ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის 3 მარტის კრებას არ დასწრებია საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ს. ჭეიშვილი (რა უბედურება მომხდარა?) მერმე მას განუხილავს ანგარიში, მიგ ბევრი შეცდომა აღმოუჩენია და თავისი შენიშვნა ჩაუწერია ოქმის წიგნში და უთხოვნია კრების დანიშვნა, რომელიც რაღაც მიზეზების გამო დაგვიანდა.

დალოცვილო, ჩემს შენიშვნებს, რომლითაც მთელი ოქმის წიგნის ორი გვერდია სავსე, რატომ არ იხსენიებთ!.. „რაღაც მიზეზების გამო კრება დაგვიანდაო", რომ ბრძანებ, განა, მე პირდაპირ არ დავნიშნე დრო ოქმის წიგნში, რომ «საბჭოს წევრებმა და გამგეობამ აღდგომა-ახალ-კვირა-შუა, ერთს მარჯვე დროს, მოიწვიოს საგანგებო კრება, მით უმეტეს, რომ ყველა ჩვენგანი ამ დროისთვის სახლში ვიქნებითო".

ქვევით ვკითხულობთ: „კრებაზედ ბატონი ს. ჭეიშვილი ამტკიცებდა, რომ ანგარიში სწორედ არ არის შედგენილი, რომ სარევიზიო კომისიას არაფერი არ გაუკეთებია . . . . . თუმცა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და ბანკის მზრუნველი პოლიკარპე თალაკვაძე ამტკიცებდა, ყოველივე კარგად არის შედგენილიო, მაგრამ კრებამ ს. ჭეიშვილის წინადადება მიიღო და 3 მარტის კრება სრულიად გააუქმა". განა, მას შემდეგ, რაც ზემოდ მოვიხსენიე, ასეთ მსჯელობას ჩემის მხრივ ადგილი ექნებოდა კრებაზედ?!!... მე ვსთქვი, მართალია, გაუქმება 3 მარტის საზოგადო კრებისა არ არის საჭირო, კმარა მხოლოდ რამდენიმე მუხლების შესწორება. იქიდგან ის გამოდის, ვითომც მე მემტკიცებინოს სამ მარტის კრების ყველა დადგენილების გაუქმება?

„ბანკის მზრუნველად არავინ აირჩიესო", გესლიანად დასძენს „ცნობის-ფურცლის" მთამბე. ნუ შესწუხდებით! კრებამ არა თუ საქმის დაუდევრობა მიკიჟინა, პირ-იქით, ერთხმად მთხოვა ბანკის გამგეობა მეკისრა, რისთვისაც საკმაო ჯამაგირსაც მინიშნავდნენ, მაგრამ რაკი მე, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო უარი განვაცხადე, ამით ისარგებლა ბ-ნმა სოლ. ჭეიშვილმა და თავის კანდიდატურა წამოაყენა... უარის დრო ახლა აღარ იყო და მეც ყუთი დავუდგი სოლომონს და ჩემთვისაც დავიდგი. ეს-კი აღარ ეჭაშნიკა, ამას იგი არ მოელოდა. ამიტომ მან და მისმა დამქაშებმა ასტეხეს ერთი ვაირილი და ერთი უბედურობა. როგორც იქმნა, დავაწყნარე ისინი. ამ დროს, ვიღაც უცნობმა ყმაწვილმა, როგორც კრების თავმჯდომარეს, მთხოვა სიტყვა. ნება მივეცი. ყმაწვილმა გაადო პირი თუ არა, სოლომონმა დაუძახა: „убирайся на дворъ"-ო. მასვე მიემხრო სარდიონ ჭინჭარაძეცა... კრებამ მოითხოვა: „იწამეთ ღმერთი, აიღეთ ეს ორივე ყუთი, რადგანაც განჭის ერას აღარ გვანებებენ ეს კაცებიო". ეს თხოვნა მაშინვე შევასრულე. რაც შეეხება მზრუნველობას, ეს კითხვა მორიგ კითხვების ბოლოში იყო. ვინც იყო იმ დროს იქ, გარდა სოლომონისა, ყველამ მთხოვა. თვით საბჭოს ახლანდელმა თავმჯდომარემ ბ-ნმა მოსე ნინიძემ რამდენჯერმე მთხოვა ჩამეწერა ოქმში მზრუნველად ჩემი თავი, მაგრამ მე თვითონ არ ვისურვე, ეს იყო და ეს...

პოლიკარპე თალაკვაძე.

უცხოეთი

საფრანგეთი. დამატებითმა არჩევნებმა, რომელიც გასულს კვირას მოხდა, ნათლად დაუმტკიცა კლერიკალებს, რომ მათმა აგიტაციამ კიდევ უფრო განაცხოველა საზოგადოებაში სიყვარული რესპუბლიკანურ დემოკრატიულ დაწესებულებათადმი. მონბრიტის არჩევნებში საშინლად დაამარცხეს ნაციონალისტნი და კანდიდატად გაიყვანეს რადიკალი დანიელ დორიანი. ბეზულის მუნიციპალურს საბჭოშიაც დაამარცხეს ნაციონალისტები და 5 რესპუბლიკანელი აირჩიეს; მარსელში ხომ ერთი ნაციონალისტიც აღარ დასტოვეს მუნიციპალურს საბჭოში: მხოლოდ რადიკალნი და სოციალისტნი იქმნენ არჩეულნი.

— გაზეთები შემდეგს იუწყებიან ვიცე-ადმირალ ბომონისა და კონტრ-ადმირალ სერვანის სამსახურიდგან დათხოვნის შესახებ.

ბომონი, რომელიც ტულონის საზღვაო პრეფექტად იყო, მიტომ დაითხოვესო, რომ 14 ივლისს აღლუმის დროს საპატიო ოფიციალურს ლოჟაში, ქალაქის მერისა და პრეფექტის გვერდით, ადგილი მისცა ერთს საეჭვო ყოფა-ქცევის მანდილოსანს, რაიცა დიდ შეურაცხყოფად მიიჩნიეს ქალაქისა და მთავრობის წარმომადგენლებმაო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყოფილი სამხედრო მინისტრი ლანესსანი ბომონს ხმელთაშუა ზღვის ესკადრის უფროსად დანიშვნას უპირებდა. რაც შეეხება სერვანს, ატლანტიის ოკეანეს საზღვაო დივიზიის უფროსს, მას ორი ბრალი ედება: პირველი ისა, ვითომც სერვანი მეტად სასტიკად ეპყრობოდა კრეისერ „Tage"-ის კაპიტანს ბარრის და ისე გაუჭირა საქმე, რომ საწყალმა თავი მოიკლაო. მეორეც ის, რომ თავისი დივიზია მეტად ანტისანიტარულს მდგომარეობაში ჰყავდა, რის გამოც გაჩნდა სახადი და მრავალი მგზავრი იმსხვერპლაო.

გერმანია. გერმანიის საქონლის ბაზარი ოსმალეთში თანდათან იზრდება. მაგ., 1880 წელს გერმანელებს გაუყიდნიათ 8.500,000 ფრ. სალირალო საქონელი; 1891 წელს-კი—84.500,000 ფრ. მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოებმა თანდათან შეამცირეს ოსმალეთთან აღებ-მიცემობა, (მაგ. ინგლისს მხოლოდ ბამბეულობა შეაქვს ოსმალეთში, ავსტრიას შაქარი), გერმანიამ დიდძალი და სულ ნაირ-ნაირი საქონლით აავსო იგი. ამ უკანასკნელს ხანებში მაინც ლევანტის გზამ მეტად გაუადვილა გერმანიას ოსმალეთთან მიმოსვლა, რაც უეჭველია, მეტად ხელს უწყობს ვაჭრობის გაძლიერებას.

იტალია. იტალიის მეფე ვიქტორ ემმანუელი, როგორც გაზეთი „Patria" იუწყება, რომიდგან სან-გოტარდის (მაღალი მთაა) გზით აპირებს ბერლინს გამგზავრებას; მეფე 9 აგვისტოს (22 ახ. სტ.) გამოვა რომიდგან გარეშე საქმეთა მინისტრის პრინეტტის თანხლებით და 11-ს უკვე ბერლინში იქნება.

შვეიცარია. შვეიცარიის შეერთებულ კავშირს ოფიციალურად უცნობებია გაზეთებისათვის, რომ ჩვენსა და იტალიას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება საბოლოოდ განქარწყლდაო.

გერმანიის მთავრობამ დიდი სამსახური გაუწია თურმე შვეიცარიასა და იტალიას: შეათანხმა და აღადგინა ნორმალური დამოკიდებულება მათ შორის. რადგან უთანხმოების მიზეზი თვით დიპლომატნი ბრძანდებოდნენ, ამისათვის ორივე სახელმწიფოთა ელჩები, კარლინი და სილვესტრელლი, გადააყენეს და საელჩოების მართვა-გამგეობა პირველს მდივნებს, მარტერსა და მარტინის მიანდეს, სანამ ახალი ელჩები დაინიშნებოდნენ.

ოსმალეთი. გერმანულ გაზეთების სიტყვით, რადგან დიდ-ძალი სომხობა იხიზნება ოსმალეთიდგან და აღმოსავლეთისკენ მიისწრაფვის, მთავრობას განუზრახავს ყოველივე ღონე იხმაროს და იგინი აღარ გაუშვას საზღვარ-გარეთ (აღმოსავლეთით). საზღვარზედ მდგომ ჯარს თანდათან აძლიერებენ. ამასთანავე განკარგულება მოუხდენიათ, რომ 35 ციხე-სიმაგრე აავონ რუსეთის საზღვარზედ და ჰასანკალეში იმპერიის გარეშე საზღვრების კომისარი დანიშნონ. ეს ზომები იმდენად საჭიროდ და საჩქაროდ მიაჩნია მთავრობას, რომ უკვე აურჩევიათ სპეციალური კომისია და ჰგზავნიან აღმოსავლეთით საზღვრების დასათვალიერებლად, რათა ახლო მომავალშივე შეუდგნენ ციხე-სიმაგრეთა აგებას.

სამხრეთ-აფრიკა. გაზეთ „Daily Chronicle"-ის თანამშრომელს დიდ ხანს უბაასნია ბურების გენერალ ლუკა მეიერთან, რომელსაც ტრანსვაალის ნაწილის ნატალის დათმობის შესახებ სრულებით წინააღმდეგი აზრი გამოუთქვამს.

ლუკა მეიერის აზრით, ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის ტრანსვაალის მოწყობამდეო, რადგან, ხე-ტყის მასალის გარდა, ხარებიც-კი კუნძულ მადაგასკარიდგან უნდა გამოიწეროონო.

კაფრების შესახებ მეიერმა სთქვა, რომ ინგლისელები ჯერ სრულებით არ იცნობენ მათაო. მისის აზრით დიდი შეცდომა იქნება ინგლისელების მხრივ, თუ კაფრებს მართლა არჩევნების უფლება მიანიჭესო. ჯერ საჭიროა, რომ ცოტაოდენი განათლება შევიდეს მათში და შემდეგ რასაკვირველია ბევრი სხვა უფლების მიცემაც შეიძლებაო. დღეს კაფრს რამდენიმე პენნიგით მოისყიდავს კაციო. კაფრებს მაღაროებში მუშაობას მხოლოდ იმით აიძულებთ, თუ გადასახადებს მოუმატებთო. ამ ჟამად თითო კაფრი 12 შილინგს იხდის წელიწადში; ის ერთს თვეს იმუშავებს, 30 შილინგს აიღებს, 12 შილინგს მთავრობას გადაუხდის, 7$^1/_2$ შილინგად საბანს იყიდის, 10 შილინგისას თამბაქოსა, ნახევარ შილინგსაც ფულად შეინახავს, წამოწვება მხარ-თეძოზედ და მთელის წლის განმავლობაში უსაქმოდ აგდიაო. ამისათვის საჭიროა, რომ 5 გირვ. სტერლინგი მაინც გააწერონ თითო კაფრზედ და მით მაინც აიძულონ მუშაობა და რამოდენადმე გამოაფხიზლონ იგინიო.

მეიერი ჰგონებს, პრეზიდენტი კრიუგერი ისევ სამხრეთ-აფრიკაში დაბრუნებას ირჩევს და თავის უკანასკნელს დღეებს იქ დასთვლისო.

მისი მარშრუტი ასეთია: ჩემბერლენის ნახვის შემდეგ გაემგზავრება ჰოლანდიას და ინახულებს კრიუგერს; შემდეგ წავა თავის ქალთან დრეზდენს და იქიდგან კარლსბადს საექიმოდ; მორჩება თუ არა წამლობას, ინახულებს შვეიცარიას და პარიჟს და ოქტომბერში ისევ სამშობლოში დაბრუნდება.

რაც შეეხება ინგლის-აფრიკანდერთა დაახლოვებას, ეს სავსებით იმაზედაა დამოკიდებულიო—უთქვამს მეიერს, თუ მათ როგორ სინიდისიერად შეუსრულებენ ინგლისელნი დაპირებასაო.

სხვა-და-სხვა წერილები

ერთი ბროშურის ამბავი.

იშვიათად შეხვდებით ჩვენს ღარიბს ლიტერატურაში ერთისა და იმავე,—თუ გინდა ძლიერ სასარგებლო,—საგნის შესახებ გამოთქმულიყოს სხვა-და-სხვა მწერალთა აზრი. დასწერს ერთი ვინმე სპეციალისტთაგანი რომელისამე საგნის თაობაზედ ბროშურას და გათავდა. სხვები,—თუ გინდა პრინციპიალურად წინააღმდეგნი იყვნენ გამოთქმულის აზრისა და უფრო გამოცდილნი და მცოდნენიც,—საჭიროდ არა სთვლიან თავიანთი მოსაზრება იმავე საგანზედ გაუზიარონ საზოგადოებას, აუცილებელ საჭიროებას რომ შეადგენდეს კიდეც ხალხისათვის. ეჭვი არ არის, ეს მოვლენა უნდა მივაწეროთ საზოგადოდ ჩვენში გავრცელებულს სენს: დაუდევრობას, სიზარმაცეს და მეტადრე თავმოყვარეობას: „რატომ მე არ გავხდი ინიციატორი ამა თუ იმ წიგნის დაწერისა და გამოცემისა, ან იმ სასარგებლო აზრის გამოთქმისაო"...

აი, ამისი მაგალითი: დღეს ყოველი მხარე ჩვენის სამშობლო ქვეყნისა, საცა-კი ოდესმე ვენახის ძირი გაჭაჭანებულა, მხნედ და დაუზარებლად ჰკიდებს ხელს ამერიკულ ვაზის მოშენებას. არ ჰზოგავს იმისთვის არც ღონეს, არც უკანასკნელს საშუალებას, ოღონდ-კი მომავალში მაინც გაიჩინოს შემოსავლის წყარო. ფრიად სასურველია, ხალხის ასეთს გულ-მოდგინე მისწრაფებას და მასთან მტკიცედ შეკავშირებულ შრომის დაუზარებლობას თან ახლდეს გასაგებს ენაზე დაწერილი თეორიული და პრაქტიკული დარიგება ამერიკულ ვაზის რაციონალურად მოშენებისა.

თუმცა ცნობილმა აგრონომმა ბ-ნმა სტაროსელსკიმ ამ შვიდის წლის წინად დაბეჭდა რუსულად წიგნაკი ამერიკულ ვაზის კულტურის შესახებ და ეს წიგნაკი ქართულს ენაზედაც გადითარგმნა და გამოიცა ხალხში უფასოთ დასარიგებლად, მაგრამ უნდა გულწრფელად აღვიაროთ, რომ დღეს პატივცემულ ავტორის თხზულებას არ შეუძლიან ჯეროვანი სამსახური გაუწიოს საზოგადოებას: მისს ბროშურაში უმთავრესი ადგილი დათმობილი აქვს ფილოქსერის გაჩენას, ამერიკულ ვაზის მოშენებას საფრანგეთში, იმას, თუ რა სარგებლობა მოუტანა საზღვარ-გარეთ მემამულეებს ამერიკულ ვაზის კულტურამ. ეგ ყველა უეჭველად საჭირო იყო იმ დროს, გამოსაღვიძებლად, სანუგეშებლად იმ ხალხისათვის, რომელიც ყოველს გაუგებარს ბუნების მოვლენას ღვთის განგებას აწერს, ხოლო რაც დღევანდელ გარემოებისათვის უფრო საჭიროა,—როგორც მაგალითად, ნიადაგის დამზადება, ვენახის დამყნა, დამყნილ, გახარებულ ვენახის დარგვა და მისი რიგიანათ მოვლა,—ამ საგნებს-კი ძლიერ მცირე ადგილი უჭირავს ბროშურაში.

დღეს არავისთვის არ არის საჭირო ჩიჩინი ამერიკულ ვაზის სარგებლიანობაზე: ყველას ძლიერ კარგად ესმის მისი დიდი მნიშვნელობა. ხალხს სჭირდება მხოლოდ მცოდნე კაცის დარიგება, როგორ უნდა იშრომოს, რომ მისი შრომა ცარიელ ტანჯვად არ დარჩეს და ჯეროვანი ნაყოფი მოუტანოს. აქამომდე არც ერთს ჩვენს ახალგაზრდა აგრონომს არ უფიქრნია დაეწერა გასაგებ ენაზედ დარიგება ეხლანდელ ცხოვრების მოთხოვნილებასთან შეთანხმებული, რადგანაც ბ. სტაროსელსკის ბროშურას საკმაოდ სთვლიდა... დღეს-კი როგორც მკითხველს გაზეთებიდგან ეცოდინება, ბ-ნმა ჩხატარაიშვილმა*) ამ ივლისის 9-ს, წარუდგინა თავისი ბროშურა ამერიკის ვაზის მოშენების შესახებ ჩვენში ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებას და სთხოვა გამოეცა მისი შრომა საზოგადოების ხარჯით ხალხში უფასოთ დასარიგებლად...

საზოგადოების ერთი წევრი,—ბ-ნი სნეგიროვი ძლიერ წინააღმდეგი იყო ბ-ნის ჩხატარაიშვილის ბროშურის გამოცემისა; იგი იხსენიებდა სტაროსელსკის შრომას და დიდ ცოდვათა სთვლიდა, რომ ისეთის გამოჩენილის მოღვაწისა და მცოდნე აგრონომის შემდეგ, როგორიც სტაროსელსკია, ვისმე გაებედნა თავისი აზრის გამოთქმა ამერიკულ ვაზის მოშენებაზედ და ბროშურაც დაეწერა.

კრებამ ბევრის კამათის შემდეგ გადასწყვიტა ბ-ნ ჩხატარაიშვილის ხელ-ნაწერი გადაეცეს კომისიას გასასინჯავად და თავის აზრის წარმოსადგენად შემდეგ კრებისათვის. მერე ვინ მოჰყვა კომისიაში? თვით ბ-ნი სტაროსელსკი, სიმონ ქვარიანი (რომლის წიგნი ამერიკულ ვაზის მოშენებაზედ „კრებულის" რედაქციამ გამოსცა 1900 წ. ფასი 5 კ.). და ბ. ტიმოფეევი. ბ-ნმა სტაროსელსკიმ და ს. ქვარიანმა უნდა შეადარონ თავიანთი ნაწერები ბ-ნ ჩხატარაიშვილის ნაწარმოებს, ასწონ-დასწონონ და დიდის თათბირის შემდეგ გადასწყვიტონ: ჩვენი წიგნები საკმაოდ ვერ აკმაყოფილებენ ეხლანდელს ხალხის მოთხოვნილებათაო და გამოიცეს ჩვენი მოწინააღმდეგის ბროშურაო.

ნუ-თუ კრებას არ შეეძლო კომისიის წევრებად გარეშე, არა დაინტერესებულნი პირნი, ამოერჩია სამივე ავტორის შრომათა დასაფასებლად და შესამოწმებლად და ამით დაეჩქარებინა ბ-ნის ჩხატარაიშვილის წიგნის გამოცემა?

ვ. ობჩელი.

—

უსაბუთოდ გამლანძღველს.

„კვალის" 28 №-ში ამ გაზეთის საუკეთესო თანამშრომელმა „მოსაუბრემ" ისე არივდარია აზრი იმ პაწაწინა შენიშვნისა, რომელიც მე ვუძღვენი „ივერიის" 117 №-ში ქუთაისის ბანკის დირექტორად ახალ არჩეულ ვ. აბულაძის გაკვრით დახასიათებას, ისეთი მედიდურობით გაგვლანძღა მეც და თვით ვ. აბულაძეც, ეს უკანასკნელი შემდეგს 29 №-შიაც, რომ ზოგიერთმა გულ-უბრყვილო მკითხველმა, რომელსაც ის ჩემი შენიშვნა ხელთ არა აქვს, შესაძლებელია, მართლაც დაუჯეროს ზოგი რამ ბატონს მოსაუბრეს.

ამიტომაც საჭიროდ ვთვლი მთლად მოვიყვანო ხსენებული შენიშვნა, რომელმაც ეს პოლემიკა გამოიწვია.

აი რას ვწერდი მე ვ. ა—ძის ამორჩევის შესახებ:

„ამ თვის 5-ს ქუთაისის ბანკის რწმუნებულთა კრებამ გამგეობის წევრად, ნაცვლად თ-დის ნ. ერისთავისა, აირჩია ვასილ ნიკოლოზის ძე აბულაძე, რომლის ამორჩევა ქუთაისის ხელ-მარცხიანის ოპოზიციისთვის გენერალურ, საზოგადო მნიშვნელობის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს . . .

ვასილ ნიკოლოზის ძე აბულაძე იურისტია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამსახურში შევიდა იუსტიციის სამინისტროს უწყებაში, მსახურებდა ჯერ მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ და შემდეგ ქუთაისის ოლქის სასამართლოს განსაკუთრებულ საყურადღებო საქმეთა გამომძიებლად (суд. слѣд. по особо важнымъ дѣламъ). ამ თანამდებობაზე მან მთავრობისა და საზოგადოების ყურადღება მიიქცია, მეოთხმოცე წლებში ქუთაისსა და ოზურგეთში აღმოჩენილ „ყალბის ქაღალდის ფულების" საქმის გონიერი, სწრაფი და ენერგიული გამოძიებით...

იმავ წლებში იგი იღებდა დაახლოვებულს მონაწილეობას ქუთაისის ქალაქისა და თავად-აზნაურობის საზოგადო საქმეებში, იყო სათავ.-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრად და მაშინდელ ქუთათურ გაზეთის „შრომის" რედაქციას უწევდა არა უნაყოფო ზნეობრივს დახმარებას.

მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ბევრ უკუღმართ მედროშეებისათვის არ იყო ხელსაყრელი და არა ერთისა და ორის დაბეზღების საგნად გაჰხადეს იგი...

1892 წელს იგი გადაიყვანეს განჯაში იქაურ ოლქის სასამართლოს წევრად, სადაც დღემდე მსახურებდა.

მისი ამორჩევა მით უფრო სასიამოვნოა, რომ მთავრობისაგან დროებით დანიშნული გამგეობის თავმჯდომარე, შეიძლება, მალე იქმნას გაწვეული და დიდად საჭირო იყო გამგეობაში ყოფილიყო ვ. აბულაძისთანა კაცი, რომელსაც, დიპლომის გარდა, ჰქონოდა შესაფერი ცოდნა საკრედიტო დაწესებულებათა საქმეებისა და ჩვენის ხალხის ცხოვრებისა".

ეს იყო და ეს. ამ ოთხიოდე პწკარს უწოდა ბატონმა მოსაუბრემ „**ბიოგრაფია**" და არწმუნებს თავისს მკითხველებს, რომ მარტო მე შემეძლო ვ. აბულაძის საზოგადო მოღვაწედ გამოყვანა, თორემ სხვა ვინ იზამდა ასეთს საქმესაო, ის-კი დაივიწყა, რომ ა—ძე ოპოზიციის, მაშასადამე, მთელი დასის კანდიდატი იყო და მიიღო 119 ხმა წინააღმდეგ 62-ისა...

მკითხველი, როგორც ხედავს, ჩემს შენიშვნაში ჩამოთვლილი მაქვს, თუ რა და რა **საზოგადო საქმეებში** იღებდა ა—ძე **დაახლოვებულ** მონაწილეობას, რა ჯურის კაცებს არ მოსწონდათ მისი მოღვაწეობა და როგორ აბეზღებდნენ მას.

ბ-ნმა მოსაუბრემ „კვალის" 28 №-ში სულ აუარა გვერდი ამ ჩამოთვლილ გარემოებათ, რომ გაადვილებოდა ა—ძის მოღვაწეობის უარყოფა და ჩემი გაბიაბრუება.

ეს ისეთი ხერხია, რომ მიკვირს, როგორ იკადრა მისი ხმარება „კვალის" საუკეთესო თანამშრომელმა!

„კვალის" შემდეგს 29 №-ში მანვე ძალაუნებურად მიაქცია ყურადღება მოხსენებულთ გარემოებათ, თუმცა ის ერთი გარემოება, რომ ა—ძეს აბეზღებდნენ და ორი არსებითი მნიშვნელობის სიტყვა „**საზოგადო**" და „**დაახლოვებულ**" („კვალი" № 29) მაინც გამოტოვა, თავისი აჩემებულის დასკვნის გასაადვილებლად. მისი დასკვნა-კი ის არის, რომ ა—ძის მონაწილეობა (დაახლოვებით გამოტოვებული აქვს) მოხსენებულს საქმეებში (**საზოგადო** გამოტოვებულია) ვითომც იმდენად უფერული და შეუმჩნეველი ყოფილიყოს, რომ დღეს არავის ახსოვდეს.

თუნდაც ასე იყოს, განა არ შეიძლება ჩვენში კაცი საზოგადო მოღვაწე არ იყოს და ბანკის დირექტორად-კი მისი არჩევა ყველა პატიოსან ადამიანისთვის სასიამოვნოდ დარჩეს?!

მაგრამ საქმე ის არის, რომ როგორც დანარჩენი სავა მსჯელობა, ისე ეს სიტყვებიც მოსაუბრისა მეტის-მეტად შორავენ სიმართლეს. ვ. ა—ძის ქუთათური მოღვაწეობა, დროისა და წრის შესაფერი და ისიც, თუ **რისთვის მოაშორეს იგი სამშობლო ქალაქს** ახსოვთ თ-დს პ. ა. თუმანიშვილს, თ. კირილე ლორთქიფანიძეს (უჩინოა) დ. ა. ლორთქიფანიძეს (ქალაქის თავია, უჩინო), თ-დს სიმ. გ. წერეთელს, გუბერნიის მარშალს თ-დს ს. ნ. ლორთქიფანიძეს და სხვ...

ამათაც რომ არ ახსოვდეთ მოსაუბრისაგან ათვალწუნებულ ა—ძის მოღვაწეობა, დროისა და წრის შესაფერი, მისი მოქმედების კვალი მაინც დაცული იქნებოდა ა) **ქალაქის**, ბ) **თავად-აზნაურობის** და გ) **ბანკის** საქმეებში.

ბ-ნს მოსაუბრეს რომ მიუდგომელი მსჯელობა ნდომებოდა და საქმის განმარტებას წრფელის გულით შესდგომოდა, ამ პოლემიკასაც ადგილი არ ექნებოდა, რადგანაც ყველაფრის ჩემის ნათქვამის სიმართლეს ქუთაისშივე გაიგებდა ზედმიწევნით ან მოხსენებულ საპატიო კაცთაგან, ან იმ სამ დაწესებულების საქმეებში...

გვიკვირს, რად არ მოიქცა ასე „კვალის" საუკეთესო თანამშრომელი?

რაც შეეხება იმას, რომ ა—ძე „ლოლობერიძის დასს" ემხრობოდა და ეს დასი შემდეგ (რა შუაშია!?) გადაიქცა ჩიკვაიძის დასადო, (იხ. „კვალი № 29)—უნდა გამოტეხილი ვთქვა: ბ-ნს მოსაუბრეს გაუგონია რეკენო და სად—ის-კი ვერ შეუტყვია.

ერთი რომ დასი-კი არ იყო ნ. ბ. ლოლობერიძის, არამედ ნ. ლ—ძე იყო დასის კანდიდატი, ბანკის ხელმძღვანელად არჩეული;

მეორე—ბ-ნს მოსაუბრეს ერთობ ცუდად შეუგნია ამ დასის ღვაწლი და ფასი. იგი იყო და დღესაც არის (თ-დი ს. ნ. ლორთქიფანიძე, დ. ა. ლორთქიფანიძე, მ. გ. ლორთქიფანიძე, ივ. ს. მესხი, ს. ტარ. წულუკიძე, დავ. ბეჟ. ჩხეიძე, თვით ვ. აბულაძე და სხვ.) მოწადმართე, საქმის დასი, მაგრამ ამაზე ბატ. მოსაუბრეს არ გამოვედავები, რადგანაც აქ ამის ადგილი არ არის და ერთობ შორს წაგვიყვანს.

მესამე, მართალია, ვ. ა—ძე მხარს აძლევდა ნ. ბ. ლოლობერიძის კანდიდატურას, მაგრამ მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე ნ. ლ-ძე ემორჩილებოდა დასის დისციპლინას და ერთგული იყო მისის დედა-აზრებისა. როდესაც-კი ლ—ძემ თავიდან მოიშორა სადასო დისციპლინის უღელი და სხვა მიმართულება არჩია, მაშინ ვ. ა-ძემ სხვა მოთავეებთან და ზოგიერთ არა მოთავეებთან ერთად საჯაროდ მწერლობაში გამოაცხადა, რომ იგი ლ—ძის საქციელის გამო აღარ არის და არც იქნება მასთან (იხ. „შრომა" 1882 წ. № 5).

მეოთხე, არასოდეს ეს დასი ჩიკვაიძისად არ გადაქცეულა. თუ ერთი და ორი ამ დასისა მიეკედლა ჩ—ძეს, ეს არ ნიშნავს, რომ მთელი დასი მისკენ გადასულიყოს, როგორც გ. წერეთლისა და მისი დროინდელის „კვალის" ჩიკვაიძის ურდოში ყოფნა არ ნიშნავდა ყველა მწერლებისა და გაზეთების ჩიკვაიძისტობას.

ერთი პაწაწა შენიშვნაც: ჩემს წერილს „ივერიის" 117-ში მე ვაწერდი თ. მ-ძეს. ბ-მა მოსაუბრემ-კი ამ ფსევდონიმს ქარაგმა გაუხსნა. ყოველს რიგიან მწერლობაში ამ საქციელს ისეთი სახელი ჰქვიან *), რომ მიკვირს რად

---

*) ბ-ნი ჩხატარაიშვილი ოთხი წელიწადი მსახურებდა ინსტრუქტორად საქარის სანერგეში.

*) იხ. „კვალი" № 30 გვ. 479.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკადრა ეს „კვალის“ საუკეთესო თანამშრომელმა?

თ. მ—ძე.

თეატრი და ხელოვნება

დიღომი. კვირას, 20 მკათათვეს, ქართულ სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. წარმოადგინეს ორი ვოდევილი: „ადვოკატი მელაძე“ და „დატრიალდა ჯარა“.

თუმცა სკოლის სახლი, რომელშიაც გაიმართა წარმოდგენა, ვერ იყო ხეირიანად მოხერხებული ამისათვის, მაგრამ როგორც იყო წარმოდგენა მოაწყეს. წარმოდგენას გარდა იმ ხალხისა, რომელიც აქ საავარაკოთ არის მოსული, დაესწრო აგრეთვე აქაური გლეხკაცობა; მაყურებლებზედ წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ნარკვევი

გაზ. „ცნ. ფურც.“-ს მოჰყავს აზრი „ცერკ. ვედ.“-ისა იმის შესახებ, რომ საჭიროა სასულიერო სემინარიები უკეთ მოეწყოს და უკეთესი პროგრამები შემუშავდეს მათთვისაო. რუსულის გაზეთის აზრით

> უნდა შემცირდეს ძველ ენათა გაკვეთილები, გაფართოვდეს პროგრამა რუსულ ლიტერატურის ისტორიისა, მოემატოს გაკვეთილები ფიზიკას, უკეთესად მოეწყოს გომილეტიკის სწავლება და შემოღებულ იქმნას არქეოლოგიის სწავლება. ეს ცვლილებანი რომ მოხდეს, სემინარია შესაფერ ცოდნას შესძენს მომავალ მღვდლებს,

„ცნ. ფურ.“-ი სამართლიანად დასძენს ამას:

> რაც შეეხება კერძოდ საქართველოში არსებულ სემინარიებს, უსათუოდ გაძლიერებულ უნდა იქმნას საქართველოს საეკკლესიო ისტორიისა და არქეოლოგიის სწავლება. საქართველოს ეკკლესიას ისეთი დიდი წარსული ჰქონდა, რომ იმისი გაცნობა, არამც თუ ქართველთათვის, გარეშეთათვისაც არ იქმნება მეტი. ხოლო საეკკლესიო ისტორიისა და არქეოლოგიის შესასწავლად საჭიროა სემინარიებში მკვიდრ ნიადაგზე იქმნას დაყენებული ქართულის ენის სწავლება.

წერილები
რედაქციის მიმართ

I

მივმართავ თხოვნით ყველას, ვინც-კი ოსური ან ფშავურ-ხევსურული ლუდის ხდის შესახებ რამე იცის, მომაწოდონ ცნობები შემდეგს კითხვებზედ:

1. რას ხმარობენ ლუდის სალუდებლად (ქერს, პურს თუ სიმინდს)?
2. რამდენს წყალს უშრებიან?
3. რა წყალს უფრო ხმარობენ (მდინარეს, ჭის წყაროს)?
4. მაგარს თუ რბილს წყალს?
5. ძველს ქერს თუ ახალს?
6. ღერღავენ ქერს თუ არა?
7. ადუღებენ ჯერ მარტო წყალს და მერე უშრებიან ქერს, თუ ორივეს ერთად?
8. რაში ხარშავენ ქერს?
9. რამდენს ხანს ხარშავენ?
10. რითი გებულობენ ხარშვის გათავებას?
11. ნელ-ნელა ხარშვენ თუ არა?
12. ხარშვის დროს უშრებიან რამეს თუ არა (მაგ. ფშალა)?
13. რა ნაირად აწეჯებენ?
14. მოხარშვის შემდეგ სწურავენ თუ არა?
15. რას უშრებიან გამონაწურს (ჩონჩხს)?
16. რამდენ ხანს ადუღებენ მოხარშულ წვენს? (брожение).
17. რა ჭურჭელს ხმარობენ სადუღებლად, სპილენძისას თუ თიხის ჭურჭელს).
18. უშრებიან საფუარს თუ არა? (дрожжи).
19. დუღილის შემდეგ გადიღებენ თუ არა?
20. გადაღების შემდეგ სწურავენ თუ არა?
21. რას ხმარობენ საწურად?
22. დუღილის დროს ჭურჭლის თავი მთლად ღიაა თუ ცოტათი?
23. დუღილის დროს რა ტემპერატურას ამჯობინებენ?
24. ხმარობენ ყინულს თუ არა?
25. რა აზრის არიან ოსები მზის შესახებ ლუდის ხდის საქმისთვის?
26. როდის უფრო ხარშვენ ლუდს, ზამთარში თუ ზაფხულში?
27. რა განსხვავებაა, საზამთრო და საზაფხულო ლუდს შორის?
28. დამზადებულ ლუდს რაში ინახავენ?
29. გასაყიდი ლუდი რითი გაქვთ ბაზარზე?
30. ლუდისთვის ცივს ადგილს ამჯობინებენ თუ თბილს?
31. რამდენ ხანსა სძლებს დამზადებული ლუდი?
32. რა გვარი გემოსია (მოტკბო, მომწარო, თუ მლაშე)?
33. რა ფერის არის (ღია თუ შავი, მუქი?
34. თხელია თუ სქელი?
35. გადატანას აქვს რამე მნიშვნელობა (თუ რამე ვნებას უშრება) ლუდზე თუ არა?
36. სად გააქვთ ოსებს ლუდი გასაყიდად?
37. რა ფასებში ჰყიდიან?
38. როდის უფრო ძვირობს ლუდი: ზამთარში თუ ზაფხულში?
39. არის თუ არა ოსეთში გავრცელებული ემჟავება ლუდის მზადებაში (მაგ. გემოს გასაუმჯობესებლად შაქარი).
40 ბარის ოსები უფრო მისდევენ ლუდის ხდას, თუ მთისა?
41. რა განსხვავებაა ჩვენ ქართველ მთიულებისა და ოსურ ლუდის შორის?
42. რომელი მათგანი უფრო სასიამოვნო სასმელია?
43. დიდი ხანია თუ არა, რაც ოსები ლუდის ხდის საქმეს მისდევენ.
44. ვისგან აქვთ შესწავლილი ეს საქმე?
45. შეადგენს ლუდი მათ ნაციონალურ სასმელს თუ არა?
46. რას ხმარობენ ლუდს გარდა სასმელად?
47. ლუდს გასაყიდად ამზადებენ, თუ თავიანთ სასმელად.
48. სვამენ ბევრს თუ არა?
49. რა ნაირათ მოქმედობს მათზე ლუდი (მალე თვრებიან, იციან შუბლის ტკივილი, თავის ტკივილი ანდა გულის რევა ლუდის სმის შემდეგ თუ არა)?
50. რა აზრისა არიან ოსები ლუდზე (ასუქებს კაცს თუ არა)?
51. ლუდის ხდას მაჰმადიანი ოსები უფრო მისდევენ თუ ქრისტიანები.
52. მატულობს მათში ლუდის წარმოება თუ არა?
53. არის ქარხნები ოსეთში თუ არა?
54. თუ არის ლუდის ქარხნები, ვის ეკუთვნის, ერთს კაცს თუ მთელს საზოგადოებას?
55. არის თუ არა ოსებს შორის იმისთანა ოჯახები, სადაც ლუდის ხარშვა და მისი გაყიდვა თავი სალსარი იყოს საცხოვრებლად?
56. ჰყავთ ოსებს სპეციალისტები ლუდის საქმეში თუ არა?
57. ვარაუდით, რამდენი ათასი ოჯახი იქნება ოსეთში, რომ ლუდს ამზადებენ.
58. შეადგენს ლუდი ოსისთვის პირველს მოთხოვნილებას თუ ფუფუნებას?
59. სტუმარს ან ლხინში რითი უმასპინძლდებიან?
60. ლუდს სვამენ მარტო მამაკაცები თუ დედაკაცებიც?
61. ბავშვებს პატარაობიდგანვე აჩვევენ ლუდის სმას?
62. რითი სვამენ ლუდს (ჭიქებით თუ ყანწებით)?
63. თითო ოჯახს წელიწადში რამდენი ლუდი ჰყოფნის?

(გამოანგ. ბოთლიდან და ჩაფით).

64. ცრუმორწმუნოება ლუდის შესახებ?
65. რას ეძახიან ოსურად ლუდს?
66. რას ეძახიან ჩვენი მთიულები ლუდს?
67. ჩვეულებები ლუდის სმის დროს?
68. თუ აქვთ ოსებს პატარა ხალხური დღესებები, სადაც ლუდს ადიდებენ და აქებენ?
69. იხდიან ბაჟს თუ არა (აქციზს)?
70. თუ იხდიან, რმდენს?

იმედი მაქვს, ჩვენი საზოგადოება (ვინც-კი ოსური ლუდის ხდის შესახებ რამე იცის) არ დაიზარებს და ჩემს ადვილს და უბრალო თხოვნას შეასრულებს, რითაც მომეცემა საშუალება შევასრულო ჩემი მომავალი ეგზამენის გამოკვლევა, რომელიც მე ლუდის ხდის აკადემიის საბჭომ (მიუნხენში) მომანდო. ჩემ კითხვებს გარდა, იქნება სხვამ კიდევ იცოდეს მეტი და ამისთანას ვთხოვ დაუმატოს. აგრეთვე ვთხოვ ჩვენ ჟურნალ-გაზეთობას გადაბეჭდოს ეს ჩემი მოწოდება.

ლუდის ხდის აკადემიის სტუდენტი
რაჟდენ დათეშიძე.

ადრესი: Германія. An Herrn Rajden Dateschidze. MÜNCHEN (Bayern) Augustenstrasse 103-IIe.

II.

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი მისცეთ შემდეგს: წარსულ წლის დეკემბერში ბ.ბ. ჭკ—სელს და ნიკ—შვილს ყარს-ალექსანდროპოლის რკინის გზის მოხელეთა შორის შეუკრებიათ ქ. ყარსში ბიბლიოთეკის დასაარსებლად ფული, რომელიც არ ვიცით ამ ჟამად სად ინახება. იმედია დღეს მაინც გვაცნობებენ გაზეთისავე საშუალებით, რა დანიშნულება მიეცა იმ ფულს ან თვით ბიბლიოთეკის დაარსების საქმე რა მდგომარეობაშია დღეს.

ივ. ნ. ზედგინიძე.

„ივერიის“ ფოსტა:

ჭიათურა. ი. ბ—ს. თქვენი „ჭიათურის მოლაწენი“ არ დაიბეჭდება.

სურამს. რ. ბ—ს. თქვენი „პასუხად ნ. ფლავისელს“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

24 ივლისი.

ჰააგა. კრიუგერი მოვიდა უტრეხტიდგან და მას მიეგება ვოლმარანსი. მრავალმა ხალხმა დიდის ალტაცებით გააცილა კრიუგერი შენობამდის.

იშლი. რუმინიის მეფე გუშინ დილით წაბრძანდა აგარაკს გაშტეინს.

ლონდონი. თანახმად შანხაიდგან მოსულ ცნობებისა, საფრანგეთის ელჩმა აუწყა ჩინეთის წარმომადგენელს, რომ საფრანგეთის მთავრობა თანახმაა შანხაიდგან გაიწვიოს ჯარი, რაწამს სხვა სახელმწიფოებიც გაიწვევენ.

ვარშავა. ვარშავიდგან ნოვოგიორგიევსკს მიმავალი მატარებელი სადგურ პრაგაზედ დაეჯახა ორთქლ-მავალს. ორივე ორთქლმავალი გაფუჭდა. ლიანდაგიდგან გადავარდა ერთი ორთქლ-მავალი და ექვსი ვაგონი; ოთხი კაცი მცირედ დაშავდა.

რეველი. 10 საათს 23 წამს გემები „ჰოგენცოლერნი“ და „შტანდარტი“ მოვიდნენ ნავთსადგურს.

პეტერბურგი. „წესდებულებათა კრებულში“ დაბეჭდილია საფინანსო სამინისტროსაგან დამტკიცებული ნუსხა ქაღალდებისა, ოქმებისა და საბუთებისა, რომელთაც უნდა გადახდეს სალერბო გარდასახადი და ანუ განთავისუფლებულ იქმნენ.

25 ივლისი

პეტერბურგი. „Правит. Вѣст.“-ში დაბეჭდილია: 23 ივლისს, მას შემდეგ, როცა მიიღო თანამდებობის კაცნი ვიშგოროდის დარბაზში: „გმადლობთ, ბატონებო. დიდად მოხარული ვარ, რომ გხედავთ აქ, თქვენის სამსახურის ადგილას; ვისურვებ, რომ კვლავაც განაგრძოთ თქვენი სამაგალითო სამსახური“. ხელმწიფე იმპერატორმა მოისმინა მისალმება ესტლანდიის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა და ბრძანა თავად-აზნაურთა მიმართ: „თქვენმა მილებამ გულითა და სულით გამახარა, ვწუხარ მხოლოდ იმას, რომ ჩემთან არა ბრძანდება ხელმწიფე იმპერატრიცაცა. გარნა მე იმედი მაქვს მაინცა, რომ კიდევ ვიქნები როდისმე რეველსა და ესტლანდიის გუბერნიაში. ერთხელ კიდევ გმადლობთ პატიოსანის სამსახურისათვის და ვმადლობ იმ აწ გარდაცვალებულ მოღვაწეთა, რომელთა სახელები ამ კედელზეა წარწერილი“. როცა რეველის საზღვაო საკრებულო ინახულა, ხელმწიფე იმპერატორმა მიჰმართა მეზღვაურთა და ბრძანა: „ბატონებო, ვსვამ თქვენ სადღეგრძელოს და რეველის ახალის საზღვაო საკრებულოს აღყვავებისას“. ხელმწიფე იმპერატორმა მოისმინა სერენადა მგალობელ-მომღერლების საზოგადოებათა და ბრძანა: „გმადლობთ შვენიერის გალობისათვის“.

ლონდონი. მეფე, დედოფალი და პრინცესა ვიქტორია $5^{1}/_{2}$ საათზედ მივიდნენ „ვიქტორიას“ სადგურზედ. მეფე სუბუქად და გაუჭირვებლივ მივიდა ეტლამდე, თუმცა იმის სიარულს გაბედულობა ეტყობოდა. ეს გარემოება მაინც არც-კი არავის შეუმჩნევია. შემდეგ ეტლით ნელ-ნელა მივიდა ბუკინგემის სასახლეში. დიდი სიმრავლე ხალხისა მიეგება ალტაცებითა და აღფრთოვანებით.

ბელგრადი. სენატმა შეიწყნარა კანონპროექტი სესხის აღების შესახებ 28 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 7 ხმისა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ შეიწყნარა მეორედ წაკითხვის შემდეგ კანონპროექტი აპროპრიაციის შესახებ.

სტამბოლი. სანიტართა საბჭომ მოსპო კარანტინი ოდესიდან მომსვლელთათვის.

რეველი. დილის მეცხრე საათზედ გამოჩნდნენ: გერმანიის იმპერატორის იახტა „ჰოგენცოლერი“, ჯავშნიანი კრეისერი „პრინც ჰენრიხი“, კრეისერი „ნიმფა“, მცველი გემი „პეიპნერი და სამი ნაღმიანი გემი. როცა „ჰოგენცოლერზედ“ მყოფი დაინახეს იმპერატორის იახტა „შტანდარტი“, გერმანიის იმპერატორმა ბრძანა შედღუხით მიესალმეთო და 31-ჯერ დასცალეს ზარბაზანი. ხელმწიფე იმპერატორი, აცნობეს თუ არა „ჰოგენცოლერის“ მოახლოვება, გაემართა მისაგებებლად „სვეტლანის“, „პოლიარნაია ზვეზდასი“ და ექვსის ნაღმიანის გემის თანხლებით. შედღუხის პასუხად „შტანდარტმა“ გაისროლა 31-ჯერ ზარბაზანი. შემდეგ ამისა ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა მისალმებოდნენ გერმანიის იმპერატორს და 33-ჯერ დაეცალათ ზარბაზანი. «ჰოგენცოლერმაც» პასუხად ამდენჯერვე გაისროლა. „ჰოგენცოლერზედ სთქვეს მემუსიკეებმა რუსეთის საგალობელი, ხოლო „შტანდარტზედ“ გერმანული. გერმანიის იმპერატორი ამალითურთ და რუსეთის იმ აფიცრებთან ერთად, რომელნიც ახლდნენ თან, აბრძანდა „შტანდარტზედ“, საცა ხელმწიფე იმპერატორი ჩასავალ კარებთან მიეგება. „შტანდარტი“ ორისავე საიმპერატორო ბაირაღით ფრიალით და სხვა გემების თანხლებით გაემართა რეველს. მოახლოვებისას 21-ჯერ იქმნა დაცლილი ზარბაზანი; გემების ხალხი ხმამაღლა იძახოდა „ურასა“. გერმანიას იმპერატორმა თითოეულს გემს სალამი მისცა. „შტანდარტმა“ ღუზა ჩააგდო ზღვაში. გერმანიის იმპერატორს რუსული მუნდირი ეცვა ანდრიას ლენტით; ხელმწიფე იმპერატორს—ადმირალისა შავის არწივის ორდენითურთ. გერმანიის იმპერატორი ახლა დაბრუნდა „ჰოგენცოლერნზედ“, რის შემდეგაც ხელმწიფე იმპერატორმა სამაგიერო დარბაზობა გადაუხადა 3 საათზედ მათი უდიდებულესობანი ბრძანდებოდნენ კრეისერ „მინინზედ“ და ერთობოდნენ ესკადრის გემთა მანევრებით. მანევრებმა გასტანა 6 საათამდე.

მოსკოვი. ვინდავის გზაზედ საქონლის მატარებელს № 55 დაემსხვრა 30 დატვირთული ვაგონი. სასიკვდილოდ დაჭრილია ვაგონების გადამბმელი.

იაპონიის პრინცი დაესწრო ყაზახთა ყაბახობასა და ცხენზედ ჯდომის ვარჯიშობას. პრინცმა დაათვალიერა სასახლე, ორუჟეინი პალატა და საღამოზედ გაემართა თავის სამშობლოში.

ბლაგოვეშჩენსკი. 9-დან 21 ივლისამდე გახდა ხოლერით ავად 161 კაცი, მოკვდა 101. ვგრძნობთ, რომ მკურნალნი ცოტანი გვყავნან. ცოტა გვაქვს აგრედვე სადეზინფექციო წამლებიცა.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	$46{,}27^{1}/_{2}$
პარიჟში ,,	$37{,}67^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$4^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$%

4% სახელმწიფო რენტა	$96^{7}/_{8}$ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	461 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	351 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$82^{1}/_{8}$ გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	90 გაყ.
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	465 წვ. გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	4,300 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	355 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	171 „

განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ

კავკავის სკოლაში ორი თავისუფალი ადგილია მასწავლებლისა.

გალობა-სიმღერის ცოდნა სავალდებულოა. ვისაც სურს ხსენებულის ადგილების დაჭერა, მან უნდა წარმოუდგინოს საჭირო დოკუმენტები თხოვნასთან ერთად ან საზოგადოების გამგეობას, ან თვითონ კავკავის სკოლის გამგეს ბ. პართენ ალექსანდრეს ძე გოთუას.

განცხადება

პირველ სექტემბრიდგან ამა წლისა წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯან-მრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლის და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა და სასოფლო-მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დაჰხუროს.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: მთელი წლის შესანახი ფული 84 მ. პირველ სექტემბერს.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი. ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. ვინც სადგურიდგან ყმაწვილს ერთი წლის შესრულებამდე ადრე გაიყვანს, იმისგნით შემოტანილი ფული დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც, გადაჰბეჭდონ ეს განცხადება.

(5—მ.—3)

საბუხგალტერო კლასები

დაარს. ი. ი. ბრონ-ფ ნ ბრენნერის მიერ.

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცენოლ, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენგერი**, ინჟ. გ. ი. **დიუკოვი**, იურისტი ვ. ა. **მოსკალოვი**, დამსახ. პრ. **ლევიცკი**, მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **ლიოზენი**, ი. ფ. **გრუმლიკი**, ს. ე. **კოზლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში.**

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა.**

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.**

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71. (15—390—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი **ა. ი. სარაჯიშვილი.**